ტესტი ქართულ ენასა და ლიტერატურაში

დამატებითი სესია

ინსტრუქცია

თქვენ წინაშეა საგამოცდო ტესტის ელექტრონული ბუკლეტი.

ქართული ენისა და ლიტერატურის ტესტი ორი ნაწილისაგან შედგება: I. ტექსტის რედაქტირება; II. წაკითხულის გააზრება და წერითი დავალება. ტესტის ყოველი ნაწილის შესასრულებლად აუცილებელი ინსტრუქციები თან ახლავს შესაბამის დავალებებს. გაითვალისწინეთ, ტესტის II ნაწილში მოცემულია ორი ტექსტი. უნდა აირჩიოთ ერთ-ერთი მათგანი (ტექსტი I ან ტექსტი II) და დავალებები მხოლოდ ამ ტექსტის მიხედვით შეასრულოთ.

ტესტის მაქსიმალური ქულაა 60.

ტესტის შესასრულებლად გეძლევათ 3 საათი.

გისურვებთ წარმატებას!

I. ტექსტის რედაქტირება

ყურადღებით წაიკითხეთ ქვემოთ მოცემული ტექსტი. გაასწორეთ მორფოლოგიურ-ორთოგრაფიული, სინტაქსური, პუნქტუაციური შეცდომები და სტილისტიკური ხარვეზები და ისე გადაწერეთ მთელი ტექსტი, რომ მისი შინაარსი არ შეცვალოთ.

გაითვალისწინეთ, ქულები დაგაკლდებათ თქვენ მიერ გადაწერილ ტექსტში დაშვებული თითოეული შეცდომის, ხარვეზისა თუ უზუსტობის გამო.

თუ ამოიწერთ მხოლოდ ცალკეულ ფორმებსა და შესიტყვებებს ან რამდენიმე წინადადებას, ნაშრომი არ შეფასდება.

(16 ქულა) 1.

XIX საუკუნის თბილისში ახლანდელ თავისუფლების მოედანზე, მდგარა ამიერკავკასიაში პირველი საოპერო თეატრი, რაც იმდროინდელი კულტურული ცხოვრების ცენტრს წარმოადგენდა. 1874 წელს თეატრის შენობა ხანძარს ისე გაუნადგურებია რომ მისი აღდგენა შეუძლებელი გამხდარა.

შენობის გარეშე დარჩენილ ოპერის დასს, რომელსაც თავისი საქმიანობა არ შეუჩერებია, თბილისის საზოგადოებას საინტერესო დადგმებს სთავაზობდა. ქალაქის მესვეურებს თეატრისათვის ახალი შენობის აგება გადაუწყვიტავთ. პროექტი შეუქმნია გერმანელ არქიტექტორს ვიქტორ შრეტერს. მშენებლობა 1896 წელს დასრულებულა.

ოპერის თეატრის შენობა, რომელიც რუსთაველის გამზირზე დგას დღესაც ქალაქის ერთ-ერთი ღირსშესანიშნაობაა. მას გამორჩეულ იერს აძლევს აღმოსავლური არქიტექტურისათვის დამახასიათებელი ელემენტების ერთობლიობა. კედლები გაფორმებულია მუქი და ღია ფერის ჰორიზონტალური ზოლებით, მრავალი ორნამენტებითა და ჩუქურთმებით. ინტერიერს ამშვენებს მოხატული ჭერი, ვიტრაჟები და მდიდრული ჭაღები.

სამწუხაროთ 1973 წელს ამ შენობასაც ხანძარი გაუჩნდა და საფუძვლიანი რესტავრაცია დაჭირდა მაგრამ არქიტექტორებმა შეძლეს მისი თავდაპირველი სტილის შენარჩუნება. ამავე დროს მოახდინეს სცენისა და მაყურებელთა დარბაზის გადიდება. ხელოვნებით დაინტერესებული ადამიანებისათვის ოპერისა და ბალეტის თეატრი მრავალ-მხრივ საინტერესო და მიმზიდველი ადგილია.

II. წაკითხულის გააზრება და წერითი დავალება

აირჩიეთ ქვემოთ მოცემული ორი ტექსტიდან ერთ-ერთი (ტექსტი I ან ტექსტი II) და დავალებები მხოლოდ ამ ტექსტის მიხედვით შეასრულეთ!

ტექსტი I

ყურადღებით წაიკითხეთ ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსი „მერანი“:

მირბის, მიმაფრენს უგზო-უკვლოდ ჩემი მერანი,
უკან მომჩხავის თვალბედითი შავი ყორანი!
გასწი, მერანო, შენს ჭენებას არ აქვს სამძღვარი
და ნიავს მიეც ფიქრი ჩემი, შავად მღელვარი!

გაჰკვეთე ქარი, გააპე წყალი, გარდაიარე კლდენი და ღრენი,
გასწი, გაკურცხლე და შემიმოკლე მოუთმენელსა სავალნი დღენი!
ნუ შეეფარვი, ჩემო მფრინავო, ნუცა სიცხესა, ნუცა ავდარსა,
ნუ შემიბრალებ დაქანცულობით თავგანწირულსა შენსა მხედარსა!

რაა, მოვშორდე ჩემსა მამულსა, მოვაკლდე სწორთა და მეგობარსა!
ნუღა ვიხილავ ჩემთა მშობელთა და ჩემსა სატრფოს ტკბილმოუბარსა;
საც დამიღამდეს, იქ გამითენდეს, იქ იყოს ჩემი მიწა სამშობლო,
მხოლოდ ვარსკვლავთა, თანამავალთა, ვამცნო გულისა მე საიდუმლო!

კითხვებზე გადასვლა: 2; 3; 4; 5; 6; 7; 8; 9; 10; 11.

კვნესა გულისა, ტრფობის ნაშთი, მივცე ზღვის ღელვას
და შენს მშვენიერს, აღტაცებულს, გიჟურსა ლტოლვას!
გასწი, მერანო, შენს ჭენებას არ აქვს სამძღვარი!
და ნიავს მიეც ფიქრი ჩემი, შავად მღელვარი!

ნუ დავიმარხო ჩემსა მამულში, ჩემთა წინაპართ საფლავებს შორის,
ნუ დამიტიროს სატრფომ გულისა, ნუღა დამეცეს ცრემლი მწუხარის!
შავი ყორანი გამითხრის საფლავს მდელოთა შორის ტიალის მინდვრის
და ქარისშხალი ძვალთა შთენილთა ზარით, ღრიალით მიწას მომაყრის!

სატრფოს ცრემლის წილ მკვდარსა, ოხერსა დამეცემიან ციურნი ცვარნი,
ჩემთა ნათესავთ გლოვისა ნაცვლად მივალალებენ სვავნი მყივარნი!
გასწი, გაფრინდი, ჩემო მერანო, გარდამატარე ბედის სამძღვარი;
თუ აქამომდე არ ემონა მას, არც აწ ემონოს შენი მხედარი.

დაე, მოვკვდე მე უპატრონოდ მისგან ოხერი!
ვერ შემაშინოს მისმა ბასრმა მოსისხლე მტერი!
გასწი, მერანო, შენს ჭენებას არ აქვს სამძღვარი
და ნიავს მიეც ფიქრი ჩემი, შავად მღელვარი!

კითხვებზე გადასვლა: 2; 3; 4; 5; 6; 7; 8; 9; 10; 11.

ცუდად ხომ მაინც არა ჩაივლის ეს განწირულის სულისკვეთება
და გზა უვალი, შენგან თელილი, მერანო ჩემო, მაინც დარჩება:
და ჩემს შემდგომად მოძმესა ჩემსა სიძნელე გზისა გაუადვილდეს,
და შეუპოვრად მას ჰუნე თვისი შავის ბედის წინ გამოუქროლდეს!

მირბის, მიმაფრენს უგზო-უკვლოდ ჩემი მერანი,
უკან მომჩხავის თვალბედითი შავი ყორანი!
გასწი, მერანო, შენს ჭენებას არ აქვს სამძღვარი
და ნიავს მიეც ფიქრი ჩემი, შავად მღელვარი!

კითხვებზე გადასვლა: 2; 3; 4; 5; 6; 7; 8; 9; 10; 11.

ყურადღებით გაეცანით ტექსტს. კითხვებზე პასუხების გაცემა მაშინ დაიწყეთ, როდესაც ტექსტის შინაარსი მთლიანად გასაგები იქნება. მოცემული ოთხ-ოთხი პასუხიდან აირჩიეთ მხოლოდ ერთი. არჩეული პასუხი გადაიტანეთ პასუხების ფურცელში ამგვარად: პასუხის შესაბამის უჯრედში გააკეთეთ აღნიშვნა – X.

(1) 2. რას უცხადებს ბრძოლას „თავგანწირული მხედარი“?

ა) ავ ბედისწერას.
ბ) მძიმე ცოდვას.
გ) საბედისწერო ცდუნებას.
დ) უკურნებელ სენს.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

(1) 3. რა მხატვრული საშუალებაა *„ფიქრი ჩემი, შავად მღელვარი“*?

ა) ალიტერაცია.

ბ) ალუზია.

გ) მეტაფორა.

დ) ჰიპერბოლა.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

(1) 4. რის თქმა სურს ლირიკულ გმირს სიტყვებით: *„ნუ შემიბრალებ დაქანცულობით თავგანწირულსა შენსა მხედარსა“*?

ა) რომ განსაცდელის წინაშე უძლურია.
ბ) რომ გაურკვეველი მომავლის ეშინია.
გ) რომ დამარცხებას შეგუებულია.
დ) რომ საბრძოლოდ შემართულია.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

(1) 5. რომელ სტრიქონში ჩანს, რომ მხედარი მარტოსულია?

ა) „და შეუპოვრად მას ჰუნე თვისი შავის ბედის წინ გამოუქროლდეს!“
ბ) „თუ აქამომდე არ ემონა მას, არც აწ ემონოს შენი მხედარი“.
გ) „მხოლოდ ვარსკვლავთა, თანამავალთა, ვამცნო გულისა მე საიდუმლო!“
დ) „შავი ყორანი გამითხრის საფლავს მდელოთა შორის ტიალის მინდვრის“.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

(1) 6. რა მხატვრული საშუალებაა *„...და ჩემსა სატრფოს ტკბილმოუბარსა“*?

ა) ალეგორია.

ბ) გაპიროვნება.

გ) ეპითეტი.

დ) შედარება.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

(1) 7. რომელ სტრიქონში ჩანს, რომ მხედარი მზადაა მიზნის მისაღწევად ყველაფერი დათმოს?

ა) „გასწი, გაფრინდი, ჩემო მერანო, გარდამატარე ბედის სამძღვარი“.
ბ) „კვნესა გულისა, ტრფობის ნაშთი, მივცე ზღვის ღელვას“.
გ) „ნუ შეეფარვი, ჩემო მფრინავო, ნუცა სიცხესა, ნუცა ავდარსა“.
დ) „რაა, მოვშორდე ჩემსა მამულსა, მოვაკლდე სწორთა და მეგობარსა!“

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

(1) 8. რას ნიშნავს სიტყვები *„მისგან ოხერი“*?

ა) მისგან განწირულს.
ბ) მისგან დამარცხებულს.
გ) მისგან შერცხვენილს.
დ) მისგან შეშინებულს.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

(1) 9. რა არის ქვეტექსტი სიტყვებისა: *„და გზა უვალი, შენგან თელილი, მერანო ჩემო, მაინც დარჩება“*?

ა) გათელილ გზას მხედარი არასოდეს ირჩევს.
ბ) დაბრკოლებები რთული გადასალახავია.
გ) დასახული მიზნის მიღწევა შეუძლებელია.
დ) თავგანწირვას შედეგი აუცილებლად მოჰყვება.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

(1) 10. რომელ სტრიქონში ჩანს, თუ რა არის ლირიკული გმირის მიზანი?

ა) „გასწი, გაკურცხლე და შემიმოკლე მოუთმენელსა სავალნი დღენი!“

ბ) „და ქარისშხალი ძვალთა შთენილთა ზარით, ღრიალით მიწას მომაყრის!“

გ) „და ჩემს შემდგომად მოძმესა ჩემსა სიძნელე გზისა გაუადვილდეს“.

დ) „ნუ დავიმარხო ჩემსა მამულში, ჩემთა წინაპართ საფლავებს შორის“.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

(1) 11. რომანტიზმისათვის დამახასიათებელი რომელი თემაა ასახული ამ ლექსში?

ა) აწმყოსა და წარსულის დაპირისპირება.
ბ) ბუნების იდილიური სურათის ჩვენება.
გ) გმირული წარსულის გაიდეალება.
დ) რეალურისა და იდეალურის კონფლიქტი.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

ყურადღებით გაეცანით დავალების პირობას.

ჩამოაყალიბეთ თქვენი აზრი ნათლად, მკაფიოდ და დასაბუთებულად, არგუმენტები გაამყარეთ სათანადო მაგალითებით. მსჯელობა უნდა იყოს ლოგიკურად გამართული და აბზაცებით დანაწევრებული. შეარჩიეთ შესაბამისი სტილი. დაიცავით სალიტერატურო ენის ნორმები.

ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს გასაგები (გარკვეული) ხელწერით. ის მონაკვეთები, რომელთა ამოკითხვაც გაძნელდება, შეფასებისას მხედველობაში არ იქნება მიღებული.

გაითვალისწინეთ:

ნაშრომი არ გასწორდება, თუ თქვენი მსჯელობა შემოიფარგლება ოთხი-ხუთი წინადადებით.

ნაშრომი, რომლის მოცულობა <u>არ აღემატება 150 სიტყვას,</u> ენობრივი თვალსაზრისით არ შეფასდება.

(34) 12. ბედისწერასთან დაპირისპირება მხოლოდ ძლიერ ადამიანს შეუძლია.

იმსჯელეთ, როგორაა წარმოჩენილი მოცემულ ტექსტში ეს საკითხი და რამდენად აქტუალურია იგი.

ტექსტი II

ყურადღებით წაიკითხეთ ნაწყვეტები გურამ გეგეშიძის მოთხრობიდან „დევნილი“:

ჯარიდან დაბრუნებული მუშნი პირველ ხანებში შოფრად მუშაობდა, მაგრამ ეს სამსახური სრულებით არ აინტერესებდა და ამიტომ მალე მიატოვა. ბავშვობიდანვე უყვარდა წიგნის კითხვა, სწავლის დიდი სურვილი ჰქონდა. მერე როგორღაც თუშეთში გეოლოგიურ პარტიაში მოეწყო სამუშაოდ.

სამი დღის წინ გეოლოგიური პარტიის უფროსთან ჩხუბი მოუვიდა, სამსახურებრივი რევოლვერი ესროლა და ფეხში დაჭრა. ახლა ალბათ დააპატიმრებენ... დროზე რომ გაესწრო აქედან, შეიძლება რამე მოეხერხებინა, მაგრამ ვერ მოასწრო და ახლა რა იღონოს?.. არავითარი გამოსავალი არ ჩანს ჯერჯეროზით...

მუშნი სასადილოში შევიდა. დახლიდარი დახლთან ფუსფუსებდა... როცა საქმეს მორჩა, ჰკითხა:

– შენ მუშნი გქვიან?

– ჰო!

– აი, ეგ მილიციელები შენ გეძებენ!.. მკითხეს, ხომ არ იცნობო?!.. მე ვუთხარი: ეგეთს არ ვიცნობ-მეთქი!

– რა უნდოდათ? – ჰკითხა მუშნიმ.

– არ ვიცი, ეგ შენ უკეთ გეცოდინება...

მუშნიმ იგრძნო, რომ ამ კაფანდარა კაცმა ყველაფერი იცოდა. მადლიერების გრძნობით განიმსჭვალა მის მიმართ და ასეთმა აზრმაც კი გაუელვა, მოდი, ერთი რჩევას შევეკითხებიო, მაგრამ იცოდა, ამას ვერ შეძლებდა... რა აზრი ჰქონდა გულის გადაშლას? ვის შეუძლია, შენი დარდი გაიზიაროს, გაინაწილოს შენი ტკივილი?

კითხვებზე გადასვლა: 2; 3; 4; 5; 6; 7; 8; 9; 10; 11.

– საით წავიდნენ? – იკითხა მუშნიმ.

– შენ არ გაგიგია?.. წუხელის კვირია მოჰკლეს ყაჩაღებმა... ცხენები გაუტაცნიათ, ეგ დასდევნებია და მოუკლავთ. ჰოდა, იქ წავიდნენ.

კვირიას სიკვდილი იმდენად მოულოდნელი იყო, რომ მუშნი არ განიცდიდა არც სევდას, არც – მწუხარებას, მხოლოდ უსაზღვრო გაოცებას შეეპყრო... ის ჩქარი ნაბიჯით მიჰყვებოდა კვირიას სოფლისკენ მიმავალ ბილიკს და, რაც უფრო უახლოვდებოდა სოფელს, მით უფრო იპყრობდა მღელვარება. ვერაფრით ვერ წარმოედგინა, რომ აღარ არსებობდა კვირია, ის ახალგაზრდა კაცი, რომელთანაც გუშინწინ საღამოს ღვინოს სვამდა... ძნელი წარმოსადგენი იყო, რომ ისევ ისე გრძელდებოდა ცხოვრება, კვირია კი ვერ ხედავდა, ვერ აღიქვამდა უსაზღვრო მიწის ზემოთ გადაჭიმულ ლურჯ, სუფთა ცას, რომლის დიდხანს ცქერა ზოგჯერ იმასაც კი გაფიქრებინებს, რომ შენც მუდმივი ხარ და მარადისი... გაკვირვება და გაოცება ახშობდა აზრებს, თითქოს გონება გამოეთიშა მის არსებას და ამიტომ უსაყრდენოდ, უბურჯოდ დარჩა მისი სული...

ნაბიჯს აუჩქარა და სოფელში შევიდა... ქალები მოთქვამდნენ... უცებ მუშნიმ მიცვალებულის ირგვლივ შემოგროვილ დედაკაცებს შორის თაფლო შენიშნა... იმდენად გაუხარდა მისი დანახვა, იმდენად სურდა მასთან ყოფნა, რომ კინაღამ დაუძახა, მაგრამ დროზე მოეგო გონს... შემდეგ სახლის კედელთან კუნძზე ჩამომჯდარი გოთა შენიშნა... გაემართა მისკენ და მიესალმა.

– კარგი ვაჟკაცი მოკვდა, – სინანულით თქვა მუშნიმ.

– მაშ! ძმადნაფიცები ვიყავით... დილით მე თვითონ წავალ იმათ საძებრად და სანამ არ ვიპოვი...

მუშნიმ გამომცდელი მზერა მიაპყრო გოთას, რაღაცამ ელვასავით გაუარა თავში და სანამ მუშნი ბოლომდე გაიაზრებდა რა სურდა, წარმოთქვა კიდეც:

– თუ გინდა... თუ ხელს არ შეგიშლი... მეც წამოვალ შენთან ერთად.

კითხვებზე გადასვლა: 2; 3; 4; 5; 6; 7; 8; 9; 10; 11.

გოთამ თავი ასწია... ისეთნაირად შეხედა მუშნის, როგორც ფოტოგრაფები უყურებენ ხოლმე ზოგჯერ თავიანთ კლიენტებს:

– წამოდი! – ერთბაშად გადაწყვიტა.

– აეროდრომზე დაგელოდები, გამთენიისას.

როცა ეზოდან გამოდიოდა, მუშნი თაფლოს შეეჩეხა... მწუხარებას უფრო გაემშვენიერებინა ქალის სახე. ასეთ თაფლოს მუშნი პირველად ხედავდა... ირგვლივ სიჩუმე იყო, ისინი ხმას არ იღებდნენ და შეიძლება, გრძნობდნენ კიდეც იმ შინაგანი რიტმის ფეთქვას საკუთარ სულში, რომელიც აერთიანებდა, ერთმანეთისკენ იზიდავდა მათ...

– ისევ იქ დაბრუნდები? – მუშნიმ სოფლისკენ გაიხედა.

– ჰო. შენ?

– აგე იმ გორაკზე ავალ, საყდართან. ცოტას დავისვენებ...

– იქ დამელოდე, ცოტა მოგვიანებით მეც ამოვალ, – მშვიდად თქვა მან.

მუშნი იდგა და დიდხანს გასცქეროდა სოფლისკენ მიმავალ თაფლოს. არაფერი არ ახსოვდა თაფლოს დანაპირების გარდა. ის ბედნიერი იყო...

როცა მზის წითელი უზარმაზარი დისკო ნელა ამოცურდა მტრედისფერ ცაზე, ბალახიან ფერდობს მიუყვებოდნენ მუშნი და გოთა... შუადღე იქნებოდა, იალაღს რომ მიაღწიეს. გოთასა და მუშნის დანახვაზე ბინასთან მდგარი მწყემსები წამოიშალნენ, მდუმარედ შემოეგებნენ ახალმოსულებს, ალმაცერი მზერა ესროლეს მუშნის.

შემდეგ ყველანი დასხდნენ და კვირიას მკვლელობაზე ჩამოაგდეს ლაპარაკი... შეიარაღებული მწყემსები გეგმებს აწყობდნენ. უნდა გაეგრძელებინათ კვირიას მკვლელების დევნა და თათბირობდნენ, ვინ რომელ ხეობას გაჰყოლოდა...

– ეს ყმაწვილი ჩემთან წამოვა, – თქვა გოთამ და მუშნის გადახედა.

კითხვებზე გადასვლა: 2; 3; 4; 5; 6; 7; 8; 9; 10; 11.

ხმა არავის ამოუღია. არც არავის უკითხავს, ვინ იყო მუშნი, რატომ იყო აქ... ერთი ახალგაზრდა მწყემსი დანარჩენებთან მოვიდა და თქვა, ქვემოდან ვიღაც ცხენოსნები მოდიანო. მუშნიმ შორიდანვე იცნო ისინი: ბარიდან ამოსული მილიციელები იყვნენ...

მუშნი წამოდგა და გაეცალა ჯგუფს... როცა უკან დაბრუნდა, მილიციელები წასული დახვდნენ. მწყემსებს ცხენები უკვე შეეკაზმათ.

– აი, ამაზე შენ შეჯდები, – უთხრა გოთამ.

– მილიციელები სად არიან? – შეეკითხა მუშნი გოთას.

– წავიდნენ.

– რომ სცოდნოდათ, ვინა ვარ, არსად არ წავიდოდნენ, – გაიცინა მუშნიმ.

– რათა?..

– რათა და მე აქ ერთი კაცი ფეხში დავჭერი...

– შენა? – გაუკვირდა გოთას.

– ჰო, – თქვა მუშნიმ, – გეოლოგიურ პარტიაში ვმუშაობდი. ჩვენი უფროსი ცბიერი, მამაძაღლი ვინმე იყო. ფულში გვატყუებდა ხოლმე. ერთი ხანში შესული, პატიოსანი მუშა გვახლდა თან, ის აუხირდა. მეც ავდექი და გამოვესარჩლე. ეს არ მოეწონა და სახეში მლეწა. ის ჭაღარა კაცი გამომესარჩლა, იმასაც სცეცხლა. ველარ მოვითმინე და გვარიანად ვცემე. ადგა და თოფით გამომედევნა. მაშინ დავაძრე რევოლვერი და შიგ ფეხში დავუჭირე... ეგ მილიციელები ჩემ დასაჭერად არიან ჩამოსული... იქაც მელოდებიან თურმე, აეროდრომზე.

– კაცი არა ყოფილა, როგორ გიჩივლა, – წამოიძახა გოთამ, – დასჭერი, ხომ არ მოგიკლავს? თუ ბიჭია, თვითონ გაგისწორდეს.

კითხვებზე გადასვლა: 2; 3; 4; 5; 6; 7; 8; 9; 10; 11.

მუშნის გაეცინა:

– ეგრე ახლა ვინა მსჯელობს?!

– თუკი მტყუანი იყო?

– მტყუანი კი იყო, მაგრამ... მტყუანს და მართალს ვინ დაგიდევს, გოთა, ზოგჯერ მართალი ის არის, ვისაც ძალა აქვს.

– არც ეგრეა საქმე, გული ტყუილად გაგიტეხნია, – გაბრაზდა გოთა, – გასაქცევი რა გჭირს? შენ ადგილზე მე თვითონ გამოვცხადდებოდი, სადაც საჭიროა.

– რომ დავეჭირეთ? იმ კაცის გულისათვის ციხეში ჩაჯდომა არ მინდა, – თქვა მუშნიმ და თაფლო მოაგონდა, – ახლა კი ისე მაქვს საქმე, რომ ჩემი მილიციაში გამოცხადება არაფრით აღარ შეიძლება.

– კარგი! ამ საქმეს მოვრჩეთ და მერე რამე მოვიფიქროთ, – თქვა გოთამ... იალაღზე დარჩენილ მწყემსებს გადასძახა, წავედიო და ცხენს ქუსლი ჰკრა.

კითხვებზე გადასვლა: 2; 3; 4; 5; 6; 7; 8; 9; 10; 11.

ყურადღებით გაეცანით ტექსტს. კითხვებზე პასუხების გაცემა მაშინ დაიწყეთ, როდესაც ტექსტის შინაარსი მთლიანად გასაგები იქნება. მოცემული ოთხ-ოთხი პასუხიდან აირჩიეთ მხოლოდ ერთი. არჩეული პასუხი გადაიტანეთ პასუხების ფურცელში ამგვარად: პასუხის შესაბამის უჯრედში გააკეთეთ აღნიშვნა – X.

(1) 2. რას ვიგებთ მუშნის შესახებ ტექსტის დასაწყისში?

ა) საკუთარი ადგილის პოვნა უჭირს.
ბ) მიზანდასახული ახალგაზრდაა.
გ) გეოლოგებთან მუშაობაზე ოცნებობს.
დ) სწავლა მისთვის მოსაბეზრებელია.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეოთხე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეხუთე გვერდზე

(1) 3. როგორია მუშნის სულიერი მდგომარეობა მეორე აბზაცის მიხედვით?

ა) გახარებულია, რომ თუშეთიდან მალე გაემგზავრება.
ბ) ნანობს, თავის უფროსს უსამართლოდ რომ მოექცა.
გ) აფორიაქებულია, რადგან არ იცის, რა გზას დაადგეს.
დ) კმაყოფილია, რადგან ხიფათს დროზე დააღწია თავი.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეოთხე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეხუთე გვერდზე

(1) 4. რატომ ემადლიერება მუშნი დახლიდარს?

ა) გამოსავლის პოვნაში რომ დაეხმარა.
ბ) მისი პრობლემით რომ დაინტერესდა.
გ) ზედმეტი კითხვები რომ არ დაუსვა.
დ) მილიციელებთან რომ არ დაასმინა.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეოთხე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეხუთე გვერდზე

(1) 5. რის თქმა სურს ავტორს მუშნის შესახებ ფრაზით: *„უსაყრდენოდ, უბურჯოდ დარჩა მისი სული“*?

ა) მას არაფერი აღელვებს.
ბ) ის განრისხებულია.
გ) ის სასოწარკვეთილია.
დ) მას ყველაფრის ეშინია.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეოთხე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეხუთე გვერდზე

(1) 6. რომელ მონაკვეთშია გამოყენებული შედარება?

ა) „ვერ აღიქვამდა უსაზღვრო მიწის ზემოთ გადაჭიმულ ლურჯ, სუფთა ცას“.
ბ) „ვის შეუძლია, შენი დარდი გაიზიაროს, გაინაწილოს შენი ტკივილი?“
გ) „გამომცდელი მზერა მიაპყრო გოთას, რაღაცამ ელვასავით გაუარა თავში“.
დ) „მუშნი არ განიცდიდა არც სევდას, არც – მწუხარებას... გაოცებას შეეპყრო“.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეოთხე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეხუთე გვერდზე

(1) 7. რაზე მეტყველებს გოთას სიტყვები: *„დილით წავალ იმათ საძებრად და სანამ არ ვიპოვი...“*?

ა) ვითარებიდან გამოსავალს ეძებს.
ბ) მწუხარების დაძლევას ცდილობს.
გ) ძმადნაფიცთან გამოთხოვება უჭირს.
დ) შურისძიება აქვს გადაწყვეტილი.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეოთხე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეხუთე გვერდზე

(1) 8. რას ნიშნავს *„ალმაცერი მზერა ესროლეს“*?

ა) ეჭვით შეათვალიერეს.

ბ) ნდობით განიმსჭვალნენ.

გ) პატივისცემა გამოხატეს.

დ) დაცინვა დაუპირეს.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეოთხე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეხუთე გვერდზე

(1) 9. რატომ არ თქვეს უარი მწყემსებმა, რომ სახიფათო საქმეზე უცნობ ადამიანთან ერთად წასულიყვნენ?

ა) გოთას ნდობის მოპოვება სურდათ.

ბ) მკვლელების პოვნა ეჩქარებოდათ.

გ) კიდევ ერთი დამხმარე სჭირდებოდათ.

დ) გოთას უპირობოდ ენდობოდნენ.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეოთხე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეხუთე გვერდზე

(1) 10. რომელ მონაკვეთშია გამოყენებული მხატვრული საშუალება?

ა) „არაფერი არ ახსოვდა თაფლოს დანაპირების გარდა“.

ბ) „მწუხარებას უფრო გაემშვენიერებინა ქალის სახე“.

გ) „გრძნობდნენ... შინაგანი რიტმის ფეთქვას საკუთარ სულში“.

დ) „ძნელი წარმოსადგენი იყო, რომ ისევ ისე გრძელდებოდა ცხოვრება“.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეოთხე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეხუთე გვერდზე

(1) 11. მუშნის რა თვისება ჩანს უფროსთან დაპირისპირებისას?

ა) ადამიანის ცემა არაფრად მიაჩნია.
ბ) მტყუან-მართლის გარჩევა უჭირს.
გ) უსამართლო მოთხოვნას არ ასრულებს.
დ) ადამიანის დაჩაგვრას ვერ ეგუება.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეოთხე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეხუთე გვერდზე

ყურადღებით გაეცანით დავალების პირობას.

ჩამოაყალიბეთ თქვენი აზრი ნათლად, მკაფიოდ და დასაბუთებულად, არგუმენტები გაამყარეთ სათანადო მაგალითებით. მსჯელობა უნდა იყოს ლოგიკურად გამართული და აბზაცებით დანაწევრებული. შეარჩიეთ შესაბამისი სტილი. დაიცავით სალიტერატურო ენის ნორმები.

ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს გასაგები (გარკვეული) ხელწერით. ის მონაკვეთები, რომელთა ამოკითხვაც გაძნელდება, შეფასებისას მხედველობაში არ იქნება მიღებული.

გაითვალისწინეთ:

ნაშრომი არ გასწორდება, თუ თქვენი მსჯელობა შემოიფარგლება ოთხი-ხუთი წინადადებით.

ნაშრომი, რომლის მოცულობა <u>არ აღემატება 150 სიტყვას,</u> ენობრივი თვალსაზრისით არ შეფასდება.

(34) 12. რამდენად სწორია, რომ უსამართლობას ასევე უსამართლობით დავუპირისპირდეთ.

იმსჯელეთ, როგორაა წარმოჩენილი მოცემულ ტექსტში ეს საკითხი და რამდენად აქტუალურია იგი.